საქართველოს სახელით

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის

გადაწყვეტილება №2/7/1542

2025 წლის 14 ნოემბერი

ქ. ბათუმი

კოლეგიის შემადგენლობა:
მანანა კობახიძე – სხდომის თავმჯდომარე;

გიორგი მოდებაძე – წევრი;

თეიმურაზ ტუღუში – წევრი, მომხსენებელი მოსამართლე.

სხდომის მდივანი: მარიამ ბარამიძე.

საქმის დასახელება: საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.

დავის საგანი: საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტთან მიმართებით.

საქმის განხილვის მონაწილეები: მოსარჩელე მხარის, საქართველოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი – მიხეილ შარაშიძე; მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენლები – ქრისტინე კუპრავა, ლევან ღავთაძე, ნინო შარმანაშვილი და თამარ შავგულიძე; საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები – საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსი – ამირან გულუაშვილი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი ლანა ცანავა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორი – გიორგი ოსაძე.

I
აღწერილობითი ნაწილი

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2020 წლის 13 ოქტომბერს კონსტიტუციური სარჩელით (რეგისტრაციის №1542) მომართა საქართველოს სახალხო დამცველმა. №1542 კონსტიტუციური სარჩელი, არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადასაწყვეტად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიას გადმოეცა 2020 წლის 16 ოქტომბერს. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 15 ივლისის №2/6/1542 საოქმო ჩანაწერით, კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად. №1542 კონსტიტუციური სარჩელის არსებითი განხილვის სხდომა, ზეპირი მოსმენით, გაიმართა 2022 წლის 24 და 25 მაისს.

2. №1542 კონსტიტუციურ სარჩელში საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსთვის მომართვის სამართლებრივ საფუძვლებად მითითებულია: საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი; „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი და 39-ე მუხლის პირველი

პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.

3. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. თავის მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ „თუ ბრალდებული წინააღმდეგია, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია. მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვაზე ან ამ ინფორმაციის აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე) ბრალდებულის უარი არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად“.

4. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიხედვით, „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით“. აღნიშნული კონსტიტუციური დებულებით განმტკიცებულია, მათ შორის, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია.

5. №1542 კონსტიტუციური სარჩელის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლი არეგულირებს საქმის არსებით განხილვამდე, გამოკითხვის დროს, ბრალდებულის მიერ მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების დასაშვებობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილი გამოკითხვის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად დაშვების აუცილებელ წინაპირობად ასახელებს ბრალდებულის ნებას. სადავო ნორმა კი ადგენს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული, ბრალდებულის თვითინკრიმინაციისაგან დაცვის საპროცესო მექანიზმიდან გადახვევის წესს და შესაძლებლობას აძლევს ბრალდების მხარეს, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, მტკიცებულებად წარადგინოს ბრალდებულისგან სხვადასხვა ხრიკის გამოყენებით, არასაკმარისი საპროცესო გარანტიების პირობებში მიღებული და ფარულად დოკუმენტირებული მაინკრიმინირებელი ინფორმაცია.

6. მოსარჩელე მხარის მტკიცებით, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის სათაური, ისე მთლიანად ამ მუხლის აგებულება აშკარად მიუთითებს იმაზე, რომ მისი პირველი და მე-2 ნაწილები ვრცელდება მხოლოდ ბრალდებულის მიერ გამოკითხვის დროს ბრალდების მხარისათვის მიწოდებულ ინფორმაციაზე.

7. გამოკითხვის წესს ითვალისწინებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლი. მოსარჩელე მხარე აღნიშნავს, რომ დასახელებული ნორმის საფუძველზე ჩატარებული გამოკითხვის დაწყებამდე, პირი ინფორმირებულია ადვოკატის ყოლისა და მთელი რიგი საპროცესო გარანტიების გამოყენების შესაძლებლობაზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბრალდების მხარისათვის მაინკრიმინირებელი ინფორმაციის საკუთარი ნებისაგან დამოუკიდებლად მიწოდების შესაძლებლობას. ამავდროულად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე ჩატარებული გამოკითხვის პირობებში, ბრალდებულის თვითინკრიმინაციისაგან დაცვის ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ბრალდებულის შესაძლებლობა, ისარგებლოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი პრივილეგიით.

8. აღნიშნულის საპირისპიროდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს გამონაკლისს, ამავე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვიდან და დასაშვებად მიიჩნევს, ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე ბრალდების მხარისათვის გამოკითხვის საფუძველზე მიწოდებული მაინკრიმინირებელი ინფორმაციის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობას ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, თუ ეს ინფორმაცია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგადაა მოპოვებული.

9. მოსარჩელე მხარე მიუთითებს სადავო ნორმის გამოყენების პრაქტიკულ შემთხვევებზე და განმარტავს, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-

2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ოპერატიული მუშაკი ან გამომძიებელი უფლებამოსილია, ჩაატაროს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება – პირის გამოკითხვა, რომელიც, მართალია, ნებაყოფლობითია, თუმცა ხასიათდება გამოსაკითხი პირის თვითინკრიმინაციისაგან დაცვის გაცილებით დაბალი სტანდარტით, ვიდრე ეს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გამოკითხვის პირობებშია უზრუნველყოფილი. აღნიშნული გამოკითხვის მექანიზმს ბრალდების მხარე იყენებს იმისათვის, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის გვერდის ავლით, პოტენციურ ბრალდებულს მოტყუებით მიაცემინოს მაინკრიმინირებელი ინფორმაცია. ამასთანავე, გამოკითხვის პარალელურად ხდება მისი ფარული აუდიო-ვიდეოჩაწერა და დოკუმენტირება, რათა მოგვიანებით, საქმის არსებითი განხილვისას, აღნიშნულ ინფორმაციას მიენიჭოს მტკიცებულების მნიშვნელობა. საბოლოოდ, სადავო ნორმის საფუძველზე, სასამართლო აღნიშნულ ინფორმაციას იყენებს პირის ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, როდესაც ბრალდებული ამის წინააღმდეგია.

10. მოსარჩელე მხარის განმარტებით, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიას გააჩნია პირდაპირი და არაპირდაპირი დაცვითი ეფექტი. კერძოდ, იგი, ერთი მხრივ, პირდაპირ იცავს შესაბამის პირს მოტყუებით ან იძულებით საკუთარი თავის მაინკრიმინირებელი ჩვენების მიცემისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, არაპირდაპირ იცავს ბრალდებულს მოტყუების ან/და იძულების შედეგად გაცემული ინფორმაციის მის წინააღმდეგ მტკიცებულებად გამოყენებისაგან. შესაბამისად, მოსარჩელის პოზიციით, სადავო ნორმის საფუძველზე, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის კონსტიტუციური უფლების დარღვევა გამოიხატება იმაში, რომ სწორედ ამ ნორმით დადგენილი გამონაკლისის საფუძველზე ხდება ზემოაღნიშნული გამოკითხვის მექანიზმის შედეგად მოპოვებული ბრალდებულის მაინკრიმინირებელი ინფორმაციის საქმის არსებით განხილვაზე მისსავე საწინააღმდეგო მტკიცებულებად გამოყენება და, შემდგომში, ამ მტკიცებულების საფუძველზე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა.

11. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე, მოსარჩელე მხარემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და განმარტა, რომ იგი არ ითხოვს უშუალოდ იმ ოპერატიული და ფარული საგამოძიებო მოქმედებების დამდგენი ნორმების არაკონსტიტუციურად ცნობას, რომელთა საფუძველზეც ხდება ოპერატიული მუშაკის/გამომძიებლის მიერ პირის გამოკითხვა (მასთან პირადი გასაუბრება) და ამ გამოკითხვის ფარული ჩაწერა. მოსარჩელისთვის პრობლემურია მსგავსი გამოკითხვის შედეგად მოპოვებული მაინკრიმინირებელი ინფორმაციის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად დაშვების შესაძლებლობა და მისი გამოყენება ბრალდებულის საწინააღმდეგოდ, რაც სადავო ნორმის რეგულირებაშია მოქცეული.

12. მოსარჩელე მხარემ ასევე დააზუსტა, რომ იგი არ დაობს ისეთ შემთხვევებზე, როდესაც კონფიდენტის მიერ ფარულად ხდება პირისგან რაიმე ინფორმაციის მოპოვება. დავის საგანი შეეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევებს, როდესაც პირის მიმართ მიმდინარეობს თვისებრივად და შინაარსობრივად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლით გათვალისწინებული გამოკითხვის მსგავსი ოპერატიული ღონისძიება, ხოლო პირისთვის ცნობილია, რომ იგი ესაუბრება სახელმწიფოს წარმომადგენელს.

13. მოსარჩელე მხარე, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, იშველიებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას.

14. მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელმა განმარტა, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის კონსტიტუციური უფლება პირს იცავს იძულებით ან რაიმე სახის ზეწოლის გზით, საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების მიცემისაგან. აღნიშნული უფლებით დაცულ სფეროში არ მოიაზრება პირის მიერ საკუთარი სურვილით მიცემული მაინკრიმინირებელი ჩვენების გადათქმის შესაძლებლობა. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესი, რომელიც ბრალდებულს აძლევს შესაძლებლობას, უარი თქვას სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებაზე, წარმოადგენს კანონმდებლის კეთილი ნების და არა კონსტიტუციით განმტკიცებული თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლებისგან წარმოშობილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების გამოხატულებას.

15. რაც შეეხება უშუალოდ სადავო ნორმას, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ აღნიშნული ნორმა სრულ შესაბამისობაშია თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებაში მოაზრებულ კონსტიტუციურ თუ

საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებთან და ემსახურება ისეთი მნიშვნელოვანი ლეგიტიმური მიზნების მიღწევას, როგორიცაა გამოძიებისა და მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელება, დანაშაულთან ბრძოლა და სახელმწიფოს მიერ დანაშაულის გამოძიების პოზიტიური ვალდებულების შესრულება.

16. მოპასუხის განმარტებით, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება არ მიეკუთვნება აბსოლუტურ უფლებათა კატეგორიას და მისი შეზღუდვა შესაძლებელია, შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. ამასთან, თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლება არ გამორიცხავს სახელმწიფოს და ბრალდების მხარის შესაძლებლობას, აუცილებლობის შემთხვევაში, პროპორციულობის სრული დაცვით, გამოიყენოს გარკვეული ხრიკები პირისაგან დანაშაულის გახსნისათვის საჭირო, მათ შორის, მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ასეთ დროს მთავარია, პირისაგან ინფორმაციის მიღება არ ხდებოდეს უკანონო დაპირების, მოტყუების გზით, ისევე, როგორც პირის ნებაზე არაპროპორციული იძულების გამოყენების მეშვეობით, რასაც უნდა აზღვევდეს შესაბამისი კანონმდებლობა.

17. მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ საქართველოს კანონმდებლობა მართლაც უშვებს პირისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვებას იმ მექანიზმის გამოყენებით, რომელზეც აპელირებს მოსარჩელე მხარე. კერძოდ, შესაბამისი პირობების არსებობისას, შესაძლოა, გამომძიებელმა პირი გამოკითხოს არა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლში გათვალისწინებული გამოკითხვის მექანიზმის, არამედ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ხოლო ფარული საგამოძიებო მოქმედებების გამოყენების მეშვეობით შესაძლებელია, აგრეთვე ამ პროცესის ფარული ვიდეო ან აუდიოჩაწერა, თუმცა, ამავდროულად, კანონმდებლობაში არსებობს შესაბამისი გარანტიები, რომლებიც გამორიცხავს ამ პროცედურის განხორციელებისას იმ ზღვრის გადაკვეთას, რომლის მიღმაც შესაძლოა, მოხდეს პირის თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლების დარღვევა.

18. კერძოდ, კანონმდებლობის მოთხოვნაა, რომ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, მათ შორის, პირის გამოკითხვა, ჩატარდეს მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად, პროპორციული ზომის გამოყენებით და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, როდესაც ამოწურულია უფლების ნაკლებად მზღუდავი საშუალებებით ამ მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. რაც შეეხება გამოკითხვის ფარულ ჩაწერას, ფარული საგამოძიებო მოქმედებები წარმოადგენს ultima ratio ღონისძიებას, რომელიც მკაცრ სასამართლო კონტროლს ექვემდებარება. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ დაცვის მხარე, სამართალწარმოების სხვადასხვა ეტაპზე, აღჭურვილია არაერთი შესაძლებლობით, ეჭვქვეშ დააყენოს აღნიშნული ღონისძიებებისა და მათ საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებების კანონიერება. ამასთანავე, მოპასუხე მხარის განმარტებით, პირისაგან არაკანონიერი გზებით მოპოვებული მაინკრიმინირებელი ინფორმაცია საერთოდ არ მოიაზრება სადავო ნორმის შინაარსში, ვინაიდან მსგავსი ტიპის ინფორმაცია, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დაუშვებელ მტკიცებულებას წარმოადგენს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხის პოზიციით, საკმარისი საკანონმდებლო გარანტიები არსებობს იმისათვის, რათა პირისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მოპოვება, ერთი მხრივ, არ მოხდეს მის ნებაზე რაიმე ტიპის გადამეტებული ზემოქმედების შედეგად, ხოლო, მეორე მხრივ, ასეთი ზემოქმედების არსებობის შემთხვევაში მოპოვებული ინფორმაცია არ იქნეს გამოყენებული ბრალდებულის საწინააღმდეგო მტკიცებულებად.

19. ოპერატიული გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის მტკიცებულებით ძალასთან მიმართებით, მოპასუხე მხარის წარმომადგენელმა განმარტა, რომ, ვინაიდან ოპერატიული გამოკითხვისას შედგენილ პატაკს ხელს არ აწერს გამოკითხული პირი, იგი არის ირიბი მტკიცებულება. ამავდროულად, თუ მოხდა ამ გამოკითხვის ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ჩაწერა, გამოკითხვის შედეგად მოპოვებულმა ინფორმაციამ შესაძლოა, შეიძინოს ჩვეულებრივი მტკიცებულების სახე.

20. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოპასუხე მხარე მიიჩნევს, რომ არსებული საკანონმდებლო მოწესრიგების პირობებში, სადავო ნორმა სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილ სტანდარტებთან.

21. მოპასუხე მხარე, საკუთარი არგუმენტაციის გასამყარებლად, იშველიებს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოსა და გერმანიის სასამართლოების პრაქტიკას.

22. საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოწვეულ იქნა საჯარო დაწესებულებების, კერძოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები.

23. საქართველოს გენერალური პროკურატურის სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის დეპარტამენტის უფროსმა, ამირან გულუაშვილმა განმარტა, რომ ოპერატიული და ფარული საგამოძიებო ღონისძიებების, მათ შორის, ამ წესით პირის გამოკითხვის პირველადი და უმთავრესი მიზანი სხვა მტკიცებულებების მოპოვებაა. მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სადავო ნორმით დადგენილი წესი ვრცელდება ნებისმიერი ოპერატიულ-სამძებრო და ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე. ამავდროულად, უშუალოდ სადავო ნორმა მიემართება არა ოპერატიულ ანდა საგამოძიებო მოქმედებებს, არამედ საქმის არსებითი განხილვის ეტაპს.

24. ამირან გულუაშვილის განმარტებით, ფარული საგამოძიებო საქმიანობისა და ოპერატიული სამძებრო ღონისძიებების განხორციელება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რთულად გამოსაძიებელ საქმეებზე, სადაც დამნაშავეები განზრახ და მიზანმიმართულად ცდილობენ მტკიცებულებების დამალვას, მათ განადგურებას და გამოძიებისათვის კვალის არევას. შესაბამისად, ოპერატიული გამოკითხვისა და ამ გამოკითხვის ფარულად ჩაწერის მექანიზმი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც, ერთი მხრივ, მტკიცებულებების მოპოვების სხვა გზა არ არსებობს, ხოლო, მეორე მხრივ, პირი უარს ამბობს გამოძიებასთან ღია, ოფიციალურ თანამშრომლობაზე და, ამავდროულად, არსებობს მოლოდინი იმისა, რომ პირი ფლობს და ოპერატიული წესით პირადი გასაუბრების შემთხვევაში, გამოძიებას მიაწვდის დანაშაულის შესახებ ისეთ ინფორმაციას, რომელსაც ღიად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამოკითხვისას, ხელს არ მოაწერდა.

25. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის მოსაზრებით, სადავო ნორმით დადგენილი საგამონაკლისო წესი ვერ წაახალისებს ბრალდების მხარის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლით დადგენილი გამოკითხვის სტანდარტების განზრახ გვერდის ავლით, პირისგან მაინკრიმინირებელი ინფორმაციის მიღებას, შემდგომში, ამ ინფორმაციის ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ მტკიცებულებად გამოყენების მიზნით, ვინაიდან ოპერატიული და ფარული საგამოძიებო მოქმედებები გამოიყენება როგორც ultima ratio საშუალება, რაც ნიშნავს იმას, რომ, თუ არ დასაბუთდა ამგვარი ღონისძიების გამოყენების უკიდურესი აუცილებლობა, იგი ვერ განხორციელდება, ხოლო მათ საფუძველზე მოპოვებულ ინფორმაციას არ ექნება მტკიცებულების ძალა. მისივე განმარტებით, მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე პირის გამოკითხვის შემთხვევაში, არსებობს ალბათობა იმისა, რომ საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველ ნაწილში არსებული დათქმის გათვალისწინებით, ბრალდებული უარს იტყვის გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების თაობაზე, თუმცა პრაქტიკაში ეს გარემოება არასდროს არის თვითკმარი სასამართლოს წინაშე პირის ოპერატიული და ფარული საგამოძიებო მოქმედებების მეშვეობით გამოკითხვის აუცილებლობის დასასაბუთებლად.

26. ამდენად, ოპერატიული გზით პირის გამოკითხვა ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც, ერთი მხრივ, არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი გამოსაძიებელ ფაქტთან დაკავშირებით ფლობს ინფორმაციას, ხოლო, მეორე მხრივ, აშკარაა, რომ იგი არ ითანამშრომლებს გამოძიებასთან და მისი გამოკითხვა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე, შედეგიანი არ იქნება და, პირიქით, თუ პირი თანხმობას აცხადებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით გამოკითხვაზე, ამ შემთხვევაში, შეუძლებელია, ბრალდების მხარემ მოსამართლის წინაშე დაასაბუთოს ოპერატიული და ფარული ღონისძიებების მეშვეობით, პირის გამოკითხვის აუცილებლობა. ამავდროულად, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე პირის გამოკითხვისას, იმისათვის, რათა საგამოძიებო მოქმედება და ოპერატიული ღონისძიება ჩაითვალოს კანონიერად, აუცილებელია, სახეზე იყოს ნებაყოფლობითობის კომპონენტი.

27. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორმა, ლანა ცანავამ განმარტა, რომ დუმილის უფლება, ისევე, როგორც თვითინკრიმინაციისაგან დაცვის უფლება, არ არის აბსოლუტური და ამ უფლებებში ჩარევა დასაშვებია. მთავარია, არსებობდეს უფლებაში გადამეტებული ჩარევისგან დაცვის შესაბამისი საკანონმდებლო გარანტიები. მისი პოზიციით,

საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, სადავო ნორმა, სრულ შესაბამისობაშია თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებაში მოაზრებულ კონსტიტუციურ და საერთაშორისო სტანდარტებთან.

28. საჯარო დაწესებულების წარმომადგენელის განმარტებით, სადავო ნორმით არ ხდება რაიმე ახალი მზღუდავი წესის დადგენა. იგი ემსახურება სისხლის სამართალში კანონმდებლის გაცხადებული მიდგომის კიდევ ერთხელ ხაზგასმას იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებულის ნებაზე არ არის და ვერც იქნება დამოკიდებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების ან ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების განხორციელება, ისევე როგორც ამ ღონისძიების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება. მისი პოზიციით, სადავო ნორმა ბლანკეტური შინაარსისაა და მიემართება არა მხოლოდ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე პირის გამოკითხვას, არამედ ნებისმიერ ოპერატიულ-სამძებრო და ფარულ საგამოძიებო ღონისძიებას.

29. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის, გიორგი ოსაძის პოზიციით, ოპერატიული გამოკითხვა არის სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ინფორმაციის სწრაფად შეგროვების მიზნით განხორციელებული ღონისძიება. იგი არის ერთგვარი გზამკვლევი და შემდგომი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებების დაგეგმვის წინაპირობა. მისი განმარტებით, შეუძლებელია, არსებობდეს სიტუაცია, სადაც ბრალდების მხარეს ექნება არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, ერთი მხრივ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლისა და, მეორე მხრივ, „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გამოკითხვის ჩატარებას შორის, ვინაიდან ოპერატიული გამოკითხვა ტარდება, როგორც უკიდურესი ღონისძიება. შესაბამისად, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე გამოკითხვის ჩატარების შესაძლებლობა, იმთავითვე გამორიცხავს და უკანონოდ აქცევს როგორც ოპერატიულ გამოკითხვას, ისე ამ გამოკითხვის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას.

30. საჯარო დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, უშუალოდ ოპერატიული გამოკითხვის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას გააჩნია ძალიან დაბალი ღირებულება და ვერ იქნება გამოყენებული მნიშვნელოვან მტკიცებულებად, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, იმისათვის, რომ გამოკითხვის შედეგად პირისგან მოწოდებულ ინფორმაციას ჰქონდეს მაღალი მტკიცებულებითი ძალა, ბრალდების მხარე ყოველთვის დაინტერესებულია, რომ პირი, რომელიც დიდი ალბათობით, ფლობს რაიმე ინფორმაციას, პირველ რიგში, გამოკითხოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, ოპერატიული წესით პირის გამოკითხვა ტარდება მაშინ, როდესაც პირი უარს აცხადებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილ გამოკითხვაში მონაწილეობის მიღებაზე ანდა იძლევა არასწორ ან არასრულ ინფორმაციას და, ამავდროულად, სახეზეა დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტი, რომ ეს პირი პოლიციის მუშაკთან პირადი გასაუბრებისას შესაძლოა, გაიხსნას სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე.

II
სამოტივაციო ნაწილი

1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დაცული სფერო

1. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, „არავინ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრე განისაზღვრება კანონით“. Nemo tenetur se ipsum accusare პრინციპს კონსტიტუციური რანგი გააჩნია და სამართლებრივ სახელმწიფოში არავინ არის ვალდებული, დაიბრალოს დანაშაული. ინდივიდის იძულება, რომ საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება მისცეს, არ შეესაბამება სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს იმანენტურ პრინციპებს, რომელიც პატივს სცემს ყველა ადამიანს, როგორც თანდაყოლილი ღირსების მქონე პიროვნებას და ანიჭებს მას სუბიექტის სტატუსს სისხლის სამართლის პროცესში. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილი პრაქტიკით, თვითინკრიმინაციის იძულებისაგან დაცვა წარმოადგენს ადამიანის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების უმთავრესი პრინციპის გამოძახილს, რომლის თანახმადაც, დემოკრატიულ საზოგადოებაში ადამიანი არ შეიძლება, აღქმული იყოს როგორც ობიექტი, მიზნის მიღწევის საშუალება (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-

41).

2. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია, რომელსაც საქართველოს კონსტიტუციაში დამოუკიდებელი უფლების სახით, ცალკე ჩანაწერი ეძღვნება, უწინარესად, ადამიანის ღირსების პატივისცემის პრინციპზე დაფუძნებული კონსტიტუციური წესრიგის აუცილებელი გამოხატულებაა. თვითინკრიმინაციის იძულება ზემოქმედებს იმ პირის ღირსებაზე, რომლის ჩვენებაც გამოიყენება მისსავე წინააღმდეგ და, შესაბამისად, მისგან დაცვა გულისხმობს ინდივიდის ინსტრუმენტალიზაციის, მისი მიზნის მიღწევის საშუალებად განხილვის აკრძალვას. ადამიანური ღირსება, როგორც ძირითადი კანონის ფუნდამენტური პრინციპი და უმაღლესი კონსტიტუციური ღირებულება, თვითინკრიმინაციისგან დაცვის კონტექსტში მოითხოვს, რომ პირს ჰქონდეს თავისუფლება, გადაწყვიტოს, გამოიყენებენ თუ არა მას საკუთარი თავის გასასამართლებელ საშუალებად. თვითგანთქმისგან დაცვა და იძულების გზით მაინკრიმინირებელი ჩვენების მიღების დაუშვებლობა, განიხილება როგორც ინდივიდის სასარგებლოდ მიღებული ღირებულებითი გადაწყვეტილება, რომელიც ინტერესთა დაბალანსების პრიზმაში უკანა პლანზე წევს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების საჯარო ინტერესს.

3. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თვითინკრიმინაციის აკრძალვა ასევე არსებითად ეხმიანება დაცვის კონსტიტუციურ უფლებას. Nemo tenetur se ipsum accusare პრინციპი აყალიბებს დაცვის ნეგატიურ უფლებას, რომელიც წარმოადგენს „მოსმენის უფლების საპირისპირო კომპონენტს“ და დაცვის წესის თავისუფლად განსაზღვრის უფლების შედეგს. თავის მხრივ, ბრალდებულის მიერ დუმილის უფლების გამოყენება და ამ თვალსაზრისით, მისთვის თვითმამხილებელი ინფორმაციის წარმოდგენაზე უარის სამართლებრივი შესაძლებლობის მინიჭება, მჭიდროდ არის დაკავშირებული უდანაშაულობის პრეზუმფციასთან და ავსებს მას. პირი, რომელიც უდანაშაულოდ მიიჩნევა, არ შეიძლება, აიძულონ, გასცეს საკუთარი თავის დამადანაშაულებელი ინფორმაცია. სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისა და დანაშაულთან ეფექტიანად ბრძოლის, ისევე როგორც, სისხლის სამართლის პროცესში, შეძლებისდაგვარად, სრულყოფილი ჭეშმარიტების დადგენის ლეგიტიმური მიზანი არ გულისხმობს სიმართლის გარკვევას ნებისმიერ ფასად. დამნაშავის დასჯა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის პროცესი კონსტიტუციით დადგენილ ღირებულებთა ფარგლებში არის მოქცეული, მისი მიღწევა შეიძლება მხოლოდ კონსტიტუციურ წესრიგთან თავსებადი პროცესუალურად დასაშვები საშუალებებით.

4. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია მიზნად ისახავს შეჯიბრებითობის პრინციპის ხელშეწყობას, ბრალდებისა და დაცვის მხარისათვის საკუთარი პოზიციების სამტკიცებლად დაბალანსებული პირობების გარანტირებას, რაც ემსახურება სამართლიანი სისხლის სამართლის პროცესის უზრუნველყოფას და, საბოლოო ჯამში, სამართლიანი სასამართლო განხილვის კონსტიტუციური უფლების პრაქტიკულ რეალიზაციას. იგი მიმართულია სისხლისსამართლებრივი საქმის წარმოების პროცესში სახელმწიფოს მიერ ბრალდებულის მიმართ იძულებითი ზომების გამოყენების პრევენციისაკენ. დასახელებული კონსტიტუციური გარანტია ბრალდების მხარისათვის, ბრალდებული პირის ნებაზე ზემოქმედების აკრძალვით, იცავს პრინციპს, რომლის თანახმად, ბრალის მტკიცების ვალდებულება წარმოადგენს სრულად ბრალდების მხარის პასუხისმგებლობას, ვინაიდან გაუმართლებელია, თავად ბრალდებული პირის იძულება, მონაწილეობა მიიღოს საკუთარი ბრალის დამტკიცებაში. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, იგი, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია ბრალდებულის ნების თავისუფლების პატივისცემასთან, სურვილის შემთხვევაში შეინარჩუნოს დუმილის უფლება. შესაბამისად, კონსტიტუციური გარანტია ემსახურება პირისათვის დუმილისა და ჩვენების მიცემის უფლებებს შორის არჩევანის თავისუფლების გარანტირებას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2021 წლის 28 დეკემბრის №3/2/1478 გადაწყვეტილება საქმეზე „თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-20 ნაწილის მე-2 წინადადების, 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-3 წინადადების, 48-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, მე-5 ნაწილის პირველი წინადადებისა და მე-7 ნაწილის პირველი წინადადების კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-10).

5. ამრიგად, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია, უწინარესად, ეხება ბრალდებულის ნების თავისუფლების რესპექტირებას, გამოიყენოს დუმილის უფლება. თვითინკრიმინაციისგან დაცვის კონსტიტუციური უფლების საფუძველზე სახელმწიფოს ეკრძალება ისეთი ფიზიკური და ფსიქოლოგიური სახის იძულებითი, ნების თავისუფლების დამთრგუნავი მეთოდების გამოყენება, რამაც შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს აღნიშნულ უფლებაზე და იძულებრივად აქციოს მისით

პრაქტიკული სარგებლობის შესაძლებლობა. ბრალდებულს სახელმწიფო ბრალდებაზე პასუხის გაცემა არ მოეთხოვება. დასახელებული კონსტიტუციური გარანტია იმ აღიარებული მოცემულობიდან გამომდინარეობს, რომ ბრალდებული პირი, მიუხედავად მის მიმართ არსებული დანაშაულის ჩადენის (საფუძვლიანი) ეჭვისა, საზოგადოების წინაშე ყოველთვის თვითპასუხისმგებლიანი, მორალური ინდივიდის სახით წარსდგება.

6. გასათვალისწინებელია აგრეთვე ისიც, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია პირს იცავს არა მხოლოდ ბრალდების მხარისათვის იძულებით მაინკრიმინირებელი ჩვენების მიცემისაგან, არამედ ამგვარი ჩვენების მის წინააღმდეგ მტკიცებულებად გამოყენებისგანაც. ამასთანავე, მაინკრიმინირებელ ინფორმაციაში, რომელზეც აღნიშნული პრივილეგია ვრცელდება, არ იგულისხმება მხოლოდ ისეთი ინფორმაცია, რომელიც უშუალოდ მიუთითებს პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტზე. მასში იგულისხმება ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების მიმდინარეობისას შესაძლოა, ბრალდების მხარემ გამოიყენოს დაცვის მხარის პოზიციის საწინააღმდეგოდ, დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების გასაქარწყლებლად და ბრალდებული პირის დამნაშავეობის სამტკიცებლად.

7. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგია და საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი სხვა გარანტიები არ არის შემოსაზღვრული მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპით და იგი ასევე მოქმედებს გამოძიების მიმდინარეობისას, მათ შორის, პირის გამოკითხვის დროს, ვინაიდან სწორედ სისხლის სამართლის საქმის წარმოების ამ სტადიაზე ხდება იმ მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მოპოვება, რომლის საფუძველზეც ყალიბდება ბრალდება და, ზოგადად, ბრალდების მხარის მიერ მუშავდება სისხლისსამართლებრივი პროცესის წარმართვის სტრატეგია. ამავდროულად, სისხლისსამართლებრივი საქმის არსებითი განხილვის დაწყებამდე პერიოდზე თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის გავრცელება იმითაც არის განპირობებული, რომ ამ ეტაპზე გაჟღერებულმა განცხადებებმა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ან, სულაც, გადამწყვეტი გავლენა იქონიოს შემდგომში დაცვის პოზიციაზე და, საბოლოოდ, ბრალდებული პირის მიმართ გამოტანილი განაჩენის შინაარსზე.

8. გარდა ამისა, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის გავრცელება ვერ იქნება შემოსაზღვრული მხოლოდ ბრალდებულის სტატუსის მქონე პირებით. კონკრეტული სისხლისსამართლებრივი სტატუსისგან დამოუკიდებლად, ცალკეულ შემთხვევებში, აღნიშნული პრივილეგია შესაძლოა გავრცელდეს, მათ შორის, იმ პირებზეც, რომელთა მიმართ ოპერატიულ მუშაკს ან გამომძიებელს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ მათ კავშირი აქვთ ჩადენილ დანაშაულთან.

2. სადავო ნორმის შინაარსისა და შესაფასებელი მოცემულობის იდენტიფიცირება

9. სადავო ნორმის, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე“. ამავე მუხლის პირველი ნაწილით კი დადგენილია, რომ, თუ ბრალდებული წინააღმდეგია, სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე, მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვა, აგრეთვე, ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება დაუშვებელია.

10. სადავო ნორმის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით, პროცესის მონაწილეებმა დააფიქსირეს განსხვავებული პოზიციები. კერძოდ, მოსარჩელე მხარის მოსაზრებით, სადავო ნორმით დადგენილი წესი მიემართება მხოლოდ ბრალდებული პირისგან გამოკითხვის შედეგად მოპოვებულ ინფორმაციას, ხოლო მოპასუხის, ისევე როგორც საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთა პოზიციით, სადავო ნორმა ვრცელდება ნებისმიერი ტიპის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.

11. როგორც თავად სადავო ნორმა მიუთითებს, იგი ადგენს განსხვავებულ წესს ამავე მუხლის პირველ ნაწილში არსებული მოწესრიგებიდან. შესაბამისად, დასახელებული ნორმა უნდა განიმარტოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის პირველ ნაწილთან

ერთობლიობაში და არა მისგან განცალკევებულად. სადავო ნორმის რეალური შინაარსის დადგენისას ყურადღება უნდა გამახვილდეს აგრეთვე დასახელებული მუხლის სათაურზე და მის ადგილზე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის წინარე მუხლები (იხ., საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 243-ე - 246-ე მუხლები) აწესრიგებს მოწმის მიერ გამოძიების დროს მიცემული ჩვენების გამოკვლევისა და მოწმის დაკითხვის წესებს. უშუალოდ 247-ე მუხლის სათაური კი არის ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების დაუშვებლობა. აღნიშნული გარემოება მკაფიოდ და ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს, რომ ამ მუხლის რეგულირების სფეროში ექცევა არა ნებისმიერი ტიპის, არამედ უშუალოდ ბრალდებულის მიერ საქმის არსებით განხილვამდე მიცემული ინფორმაცია. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მოწესრიგების სფეროს კიდევ უფრო აკონკრეტებს ამ მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც განსაზღვრავს როგორც ნორმის რეგულირების სუბიექტს, ისე მის ობიექტს. კერძოდ, დასახელებული ნორმა აღჭურავს ბრალდებულს უფლებით, არ გასცეს თანხმობა სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე მის მიერ გამოკითხვის დროს მიწოდებული ინფორმაციის სასამართლო სხდომაზე საჯაროდ წაკითხვაზე, აგრეთვე, ამ ინფორმაციის აუდიო ან ვიდეოჩანაწერის მოსმენაზე (დემონსტრირებაზე) და ზემოაღნიშნული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებაზე. მაშასადამე, პირველი ნაწილით განსაზღვრული წესი შეეხება მხოლოდ ისეთ ინფორმაციას, რომელიც გაცემულია ბრალდებული პირის მიერ საქმის არსებით განხილვამდე ჩატარებული გამოკითხვის დროს, ხოლო, დათქმის თანახმად, მსგავსი ტიპის ინფორმაციის საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად გამოყენება ბრალდებულის წინააღმდეგობის შემთხვევაში, დაუშვებელია.

12. მართალია, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის მე-2 ნაწილი სიტყვასიტყვით არ უთითებს, კონკრეტულად რა ტიპის ინფორმაციაზე ვრცელდება მისი მოწესრიგება, თუმცა როგორც აღინიშნა, სადავო ნორმით დადგენილი განსხვავებული წესი მიემართება მხოლოდ იმ რეგულირებას, რომელიც ამავე მუხლის პირველი ნაწილით არის გათვალისწინებული. იგი დამოუკიდებლად არ შეიცავს რაიმე ისეთ დათქმას, რომელიც გააფართოებდა ამ ნორმის შინაარსს, რეგულირების საგნის თვალსაზრისით. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმაც მხოლოდ ისეთი ტიპის ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენებას აწესრიგებს, რომელიც მოპოვებულია ბრალდებული პირისაგან, მის მიმართ საქმის არსებით განხილვამდე განხორციელებული გამოკითხვის ან გამოკითხვის მსგავსი ღონისძიების საფუძველზე იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში გამოკითხვა ჩატარებულია ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ან ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში, რაც, თავის მხრივ, იწვევს იმ სხვაობას, რომ ამ გზით მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება, ბრალდებულის ნებაზე აღარ არის დამოკიდებული.

13. გარდა უშუალოდ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 247-ე მუხლის სისტემური ანალიზისა, სადავო ნორმის ზემოაღნიშნული შინაარსით განმარტების მართებულობას ადასტურებს, აგრეთვე თავად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედებების მრავალფეროვნება, მათი განსხვავებული ხასიათი. კერძოდ, ზოგიერთი მსგავსი ღონისძიება დასაწყისშივე ხორციელდება ბრალდებულის ნებისგან განყენებულად. შესაბამისად, გაუგებარი და ლოგიკურ ახსნას მოკლებული იქნებოდა სადავო ნორმაში ნებისმიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებისა და ფარული საგამოძიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის მოაზრება და იმაზე ხაზგასმა, რომ ბრალდებულის ნებისგან სრულიად იზოლირებულად მოპოვებული ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენება არ საჭიროებს ბრალდებულის თანხმობას და, ზოგადად, მისი ნების გამორკვევას. აღნიშნული გადაწყვეტა ისედაც ცალსახაა და სადავო ნორმის ფარგლებში ამ საკითხზე დამატებით ყურადღების გამახვილება რაციონალურ ახსნას იქნებოდა მოკლებული.

14. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო ნორმის რეგულირების სფერო ვრცელდება მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ანდა ფარული საგამოძიებო მოქმედების ფარგლებში, ბრალდებული პირის მიმართ ჩატარებული გამოკითხვის/დაკითხვის ან შინაარსობრივად მსგავსი ღონისძიების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე.

15. საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმის შინაარსის იდენტიფიცირების შემდეგ საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა განსაზღვროს შესაფასებელი მოცემულობა. წინამდებარე საქმის გადაწყვეტისას, შესაფასებელ მოცემულობასთან დაკავშირებით ხაზგასასმელია, რომ საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მოსარჩელე მხარემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და განმარტა, რომ იგი დავობს

მხოლოდ ოპერატიულ-სამძებრო ან/და ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ინფორმაციის მოპოვების (და შემდგომში, ამ ინფორმაციის მტკიცებულებად გამოყენების) ისეთ შემთხვევებზე, როდესაც პირის მიმართ მიმდინარეობს თვისებრივად და შინაარსობრივად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლით გათვალისწინებული გამოკითხვის მსგავსი ოპერატიული ღონისძიება – პირთან გასაუბრება, რა დროსაც პირისთვის ცნობილია, რომ იგი ესაუბრება სახელმწიფოს წარმომადგენელს. ბრალდების მხარის მიერ ხდება ამ გასაუბრების ფარული აუდიო-ვიდეოგადაღება და შემდგომში, სადავო ნორმაზე მითითებით, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად გამოყენება ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ.

16. წინამდებარე საქმეზე მოწვეული საჯარო დაწესებულებების წარმომადგენელთა განმარტებით, ოპერატიული გამოკითხვისა და ამ გამოკითხვის ფარულად ჩაწერის მექანიზმი, რომელიც კონსტიტუციურ სარჩელშია მითითებული, გამოიყენება ისეთ სიტუაციებში, როდესაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ პირი ფლობს გარკვეულ ინფორმაციას დანაშაულის შესახებ, თუმცა ღიად, მათ შორის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გამოკითხვის ფარგლებში, უარს აცხადებს გამოძიებასთან თანამშრომლობაზე ან იძლევა არასწორ/არასრულ ინფორმაციას და, ამავდროულად, არსებობს დასაბუთებული მოლოდინი იმისა, რომ ოპერატიული წესით პირადი გასაუბრებისას, სხვადასხვა ფაქტორიდან გამომდინარე, ეს პირი გაიხსნება და მიაწვდის გამოძიებას ინფორმაციას დანაშაულის შესახებ. ასეთ ფაქტორების ნიმუშებად, საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებმა დაასახელეს გამომძიებლისა და დასაკითხი პირის მეზობლობა, აგრეთვე დაკითხვის მწარმოებელი და გამოსაკითხი პირის თანამოგვარეობა. ამავდროულად, საჯარო დაწესებულების წარმომადგენელთა განმარტებით, მსგავსი მექანიზმის გამოყენება დაუშვებელია და არ ხდება მაშინ, როდესაც არსებობს აღნიშნული პირის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლის საფუძველზე სრულყოფილად გამოკითხვის შესაძლებლობა.

17. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ უნდა დაადგინოს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 113-ე მუხლით გათვალისწინებული გამოკითხვის მსგავსი ოპერატიული ღონისძიების გამოყენებისას, მაშასადამე, მაშინ, როდესაც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიმდინარეობს პირთან გასაუბრება, რა დროსაც მისთვის ცნობილია, რომ იგი ესაუბრება სახელმწიფოს წარმომადგენელს, ხოლო ბრალდების მხარის მიერ ხდება ამ გასაუბრების ფარული აუდიო-ვიდეოგადაღება და შემდგომში, სადავო ნორმაზე მითითებით, საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე მტკიცებულებად გამოყენება ბრალდებულის ნების საწინააღმდეგოდ, რამდენად წარმოადგენს ჩარევას საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დაცულ სფეროში, ხოლო უფლების შეზღუდვის დადასტურების შემთხვევაში, იმსჯელოს მის კონსტიტუციურსამართლებრივ გამართლებულობაზე.

3. არის თუ არა სახეზე თვითინკრიმინაციის აკრძალვის უფლებით დაცულ სფეროში ჩარევა

18. კონსტიტუციური სარჩელის ავტორი მიიჩნევს, რომ სადავო ნორმა ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დაცულ უფლებრივ სფეროს. მითითებული დანაწესი მოიცავს ორ ასპექტს, თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიასა და ახლობელთა წრის წინააღმდეგ ჩვენების მიცემის ვალდებულების არარსებობას. განსახილველი საქმის ფარგლებში რელევანტურია სწორედ ინდივიდის თვითინკრიმინაციის ელემენტი, რომლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმისწარმოების დროს არავინ არის ვალდებული, გამოვიდეს მოწმედ საკუთარი თავის საზიანოდ.

19. მოსარჩელე აღნიშნავს, რომ „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი გამოკითხვისას, ამავე კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოსაკითხ პირს არ განუმარტავენ უფლებებს, შესაბამისად, არ აფრთხილებენ, ნებაყოფლობით გაცემული ინფორმაციის სამომავლოდ მის საწინააღმდეგოდ შესაძლო გამოყენებასთან დაკავშირებით. აღნიშნულის საფუძველზე, იგი საგამოძიებო ორგანოს თანამშრომლებს აწვდის ინფორმაციას, რომლის ჩაწერაც ხორციელდება წინასწარ დაფიქსირებული თანხმობის გარეშე, რაც შემდგომში, სისხლის სამართლის საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, როგორც თვითმამხილებელი ჩვენება, სასამართლოს მხრიდან ექვემდებარება მის საზიანოდ შეფასებას. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის პოზიციით, მართალია, ასეთ შემთხვევაში, სადავო ნორმის ადრესატზე არ ხორციელდება იძულება ამავე სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, თუმცა იგი, საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელთა მხრიდან, მოტყუების საფუძველზე, შეცდომაშია შეყვანილი და, საბოლოოდ, ნებელობითი ელემენტი, რომელიც საფუძვლად უდევს თვითინკრიმინაციის

იძულებისგან დაცული სფეროს კონსტიტუციურ გაგებას, ინფორმაციის მიწოდების პროცესში უგულებელყოფილია. კონსტიტუციურ სარჩელში დაყენებული პრობლემისადმი სწორედ ასეთი ხედვით აიხსნება მოსარჩელის მტკიცება, სადავო წესის კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტისადმი წინააღმდეგობასთან დაკავშირებით.

20. ამასთან დაკავშირებით, საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმის ფარგლებში მან პასუხი უნდა გასცეს მთავარ, კონცეპტუალურ კითხვას: იცავს თუ არა თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლების კონსტიტუციური დანაწესი პირს დანაშაულის ჩადენაში იძულებით თავის მხილების (მაინკრიმინებელი ჩვენების მიცემის) აკრძალვის კომპონენტის გარდა, საგამოძიებო ორგანოების წარმომადგენელთა მხრიდან, გარკვეული საგამოძიებო ხერხების გამოყენების საფუძველზე, სავარაუდოდ, მისი შეცდომაში შეყვანის გზით, თვითმამხილებელი ინფორმაციის გაცემისგან, რაც შეიძლება გამოიხატოს მის ფარულად ჩაწერაში, რომ შემდგომში აღნიშნული ჩანაწერი გამოყენებულ იქნეს მისსავე საწინააღმდეგოდ, სასამართლოში საქმის არსებითი განხილვისას. ამასთანავე, სასამართლო აზუსტებს, რომ ამ მიზნით იგი არ დგას დასახელებული კონსტიტუციური დებულების ამომწურავი განმარტების საჭიროების წინაშე. ამ უფლების სრული მოცულობა და შინაარსობრივი ფარგლები განისაზღვრება საკონსტიტუციო სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკის კვალდაკვალ.

21. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, მის მიერ ადრე მიღებულ გადაწყვეტილებებში, რამდენჯერმე მოუწია თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგიის უფლებრივი სფეროს განმარტება. სასამართლო პრაქტიკაში განმარტებულია, რომ კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის კონტექსტში „ჩვენების მიცემა გულისხმობს ვერბალურ, წერილობით ან სხვა ნებისმიერი ფორმის ქმედებაში საკუთარი ნებელობითი ელემენტის რეალიზებას, გამოხატვას. ხოლო თვითინკრიმინაციის დაცვის პრივილეგია კრძალავს სწორედ პირის ნებაზე ზემოქმედებას, მისცეს ჩვენება რაიმე ფორმით, საკუთარი თავის წინააღმდეგ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ხსენებული უფლების შეზღუდვას ვერ გამოიწვევს რეგულირება, რომლის ფარგლებშიც არ ხდება პირის ნებაზე ზემოქმედება მისგან მტკიცებულების მოპოვების მიზნით“ (საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42).

22. პირის ნებაზე ზემოქმედების კონტექსტში საკონსტიტუციო სასამართლომ, მისი იურისპრუდენციის ფარგლებში, მიუთითა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტი ზღუდავს იძულებით ან ზეწოლით ბრალდებულისაგან მაინკრიმინებელი ჩვენების მოპოვებას. შესაბამისად, სწორედ თვითმამხილებელი ჩვენების მიცემის პირდაპირი თუ ირიბი ვალდებულების ან/და იძულების არსებობის ფაქტი წარმოშობს, თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიასთან მიმართებით, ამა თუ იმ ღონისძიების არაკონსტიტუციურობის რისკებს (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 14 დეკემბრის №1/4/809 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ტიტიკო ჩორგოლიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-42). სასამართლომ ასევე დააზუსტა, რომ „თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია ირღვევა მხოლოდ მაშინ, როდესაც ხდება პირის ნებაზე ზემოქმედება, მისი იძულება, მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება“ (იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 11 ივნისის №1/7/1522 განჩინება საქმეზე „გიორგი დარჩია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-22).

23. სასამართლო ადასტურებს, რომ თვითინკრიმინაციისგან დაცვის კონსტიტუციური უფლების კონტექსტში, ინდივიდები დაცული არიან, უშუალოდ, იძულებითი ღონისძიების გამოყენებისგან, არ გასცენ თვითმამხილებელი ჩვენება და ამავე ჩვენების საფუძველზე, აქტიური თანამონაწილეობით, ხელი არ შეუწყონ მათ სისხლისსამართლებრივ დევნას და მსჯავრდებას. ამ პოზიციის საფუძვლიანობა თვითბრალდების იძულების აკრძალვის საყოველთაო და ექსპლიციტური ფორმულირებიდან, ისევე როგორც ამავე უფლების არსებობის, მისი შემოღების მიზეზებიდან გამომდინარეობს. Nemo tenetur se ipsum accusare პრინციპის ეტიმოლოგიური (tenetur, რაც სწორედ იძულებას გულისხმობს) და ისტორიული განმარტების თანახმად (რომ თვითინკრიმინაციისაგან დაცვის პრივილეგიის გარანტირება წარმოადგენდა პასუხს იმ მანკიერ პრაქტიკაზე, რომელიც უშვებდა მართლმსაჯულების აღსრულების მოტივით, ბრალდებული პირისაგან დანაშაულის აღიარებას/მაინკრიმინირებელი ჩვენების მიცემას წამებისა და სხვა არაჰუმანური მეთოდების გამოყენებით) ჩვენების მიცემის თავისუფლება, სწორედ იძულებითი მეთოდების გამოყენების აკრძალვის კონსტიტუციურ გარანტიას წარმოადგენს. იძულება შეიძლება განისაზღვროს მისი უშუალობისა და განხორციელებული ქმედების ხასიათის მიხედვით. იგი დაკავშირებული უნდა იყოს, ჩვენების მიცემის მიზნით, გამოსაკითხი პირის

მიმართ განხორციელებულ წნეხთან, რაც იწვევს ფიზიკურ ან/და ფსიქოლოგიურ ზიანს ან ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს. შესაბამისად, ნების თავისუფლებაში დაუშვებელი ჩარევა, საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის გაგებით, შეიძლება გამოიხატებოდეს პირის მიმართ იძულების საშუალების გამოყენებაში, რათა მან ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ, ფიზიკურად ან/და ფსიქოლოგიურად დამთრგუნველ მდგომარეობაში ჩაყენების ან ასეთი დამთრგუნველი მდგომარეობის შექმნის მუქარის საფუძველზე (ამ თვალსაზრისით, ასევე მხედველობაშია მისაღები „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „g“ ქვეპუნქტი, რომელიც ექსპლიციტურად ადგენს, რომ „არავინ შეიძლება აიძულონ, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ან თავი ცნოს დამნაშავედ“. საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენების იძულებითი მიცემისაგან დაცვის დებულება, როგორც ეს „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლშია ჩამოყალიბებული, ადამიანის უფლებათა კომიტეტმა 1984 წლის №13 ზოგადი კომენტარის მე-14 პუნქტში განიხილა და მიუთითა: „ხსენებული გარანტია ადგენს, რომ ბრალდებული არ შეიძლება აიძულონ, ჩვენება მისცეს საკუთარი თავის წინააღმდეგ ან თავი დამნაშავედ აღიაროს. დაცვის ამ მექანიზმის განხილვისას მხედველობაში უნდა იყოს მიღებული „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლით დადგენილი დებულება, რომელიც მიუთითებს, რომ არავინ არ უნდა დაექვემდებაროს წამებას ან სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახველ მოქცევას ან სასჯელს. იმ მიზნით, რომ ბრალდებულისაგან იძულებით მიიღონ აღიარება ან საკუთარი თავის წინააღმდეგ ჩვენება, ხშირად გამოიყენება მეთოდები, რომლებიც არღვევს ამ დებულებას. კანონი უნდა მოითხოვდეს, რომ ასეთი მეთოდებით ან ნებისმიერი იძულებითი ფორმით მიღებული მტკიცებულება სრულიად დაუშვებელი იყოს“. „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტის „g“ ქვეპუნქტის მსგავს მოწესრიგებას ადგენს ბრანდენბურგის მიწის (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) კონსტიტუციის 52-ე მუხლის მე-4 პუნქტი, სადაც მითითებულია, რომ არავინ შეიძლება აიძულონ, მისცეს ჩვენება საკუთარი თავის ან კანონით განსაზღვრული მასთან დაახლოებული პირების წინააღმდეგ). სასამართლო არც ისეთ შემთხვევებს გამორიცხავს, როდესაც იძულება შეიძლება უკავშირდებოდეს თვითმამხილებელი ინფორმაციის გაუცემლობის შემთხვევაში, შესაბამისი სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას და ამ კონტექსტში ინდივიდის ნების დაძლევას. ნებისმიერ შემთხვევაში, გამოყენებული იძულების მსაზღვრელი და მახასიათებელი ის არის, რომ გატეხილი ნების პირობებში, იგი არ ტოვებს სივრცეს მისი ადრესატის სურვილისთვის, თავიდან აიცილოს თვითინკრიმინაცია (ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური იძულება) ან მას აყენებს ისეთ კონფლიქტურ სიტუაციაში, რომ უწევს არჩევანის გაკეთება თვითინკრიმინაციასა და დუმილის შედეგად სამართლებრივი იძულების ღონისძიების გამოყენებას შორის (აღსანიშნავია, რომ სამართლებრივად დაწესებულ იძულებით ღონისძიებასა და თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებას შორის ასეთ ურთიერთმიმართებას ადასტურებს გერმანული კონსტიტუციური მართლმსაჯულების პრაქტიკაც. (იხ., გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს 2022 წლის 25 იანვრის - 2 BvR 2462/18 - განჩინება)).

24. საკონსტიტუციო სასამართლო იზიარებს საკითხისადმი ზემოხსენებულ ხედვას და აღნიშნავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი თვითინკრიმინაციისგან დაცვის გარანტია არ იძლევა იმაზე უფრო შორსმიმავალი განმარტების შესაძლებლობას, ვიდრე დანაშაულის ჩადენაში იძულებით საკუთარი თავის მხილების კონსტიტუციური აკრძალვაა. ის, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, არავინ არის ვალდებული, გასცეს საკუთარი თავის მამხილებელი ჩვენება, გულისხმობს, სწორედ ამავე უფლების უგულებელმყოფი იძულებითი მეთოდების გამოყენების აღკვეთას კონსტიტუციურ დონეზე და მის საფუძველზე ინდივიდის თვითბრალდებისგან დაცვას. თვითინკრიმინაციის იძულების აკრძალვის კონტექსტში უმნიშვნელოა, რამდენად იყო ინფორმაცია პირის წინასწარი თანხმობის, მისი გაცნობიერებული არჩევანის გარეშე მიწოდებული, ისევე როგორც ნაკლები დატვირთვა უნდა მიენიჭოს იმ საკითხის გამორკვევას, საერთოდ, გაესაუბრებოდა თუ არა იგი საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელს, გამოკითხვის პროცესის მიმდინარეობის მოტივისა და გასაუბრების შესაძლო შედეგების თაობაზე, სრულყოფილი ინფორმირების შემთხვევაში. გადამწყვეტი მნიშვნელობის მატარებელია, დადასტურდეს, ხომ არ იყო ნორმის ადრესატი იძულებული, მიეცა ჩვენება სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

25. კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მიერ მითითებული ღონისძიება – პირის გამოკითხვა „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, გულისხმობს ოპერატიული მუშაკის ან გამომძიებლის პირად გასაუბრებას ფიზიკურ პირთან, რომელმაც რაიმე იცის გამოსაკვლევი შემთხვევის ან მასთან დაკავშირებულ პირთა

შესახებ, რა დროსაც გამოკითხვა არის ნებაყოფლობითი. ასეთ დროს, გამოსაკითხი პირი, რომელიც საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელთან საუბრისას, გამოძიებასთან დაკავშირებულ კითხვებზე პასუხობს, არ მოქმედებს ფაქტობრივი იძულების პირობებში. ის არც სამართლებრივადაა ვალდებული, გააკეთოს თვითმამხილებელი განცხადება, შესაბამისად, უსაფუძვლოა ეჭვის შეტანა იძულების შედეგად მისი ქმედების ნებაყოფლობითობაში. პირიქით, მას ნებისმიერ დროს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, გადაწყვიტოს, სურს თუ არა საუბარი, აკონტროლოს საუბრის მიმდინარეობის ფარგლები, ისევე როგორც გადაწყვიტოს, რა დოზით გაამჟღავნოს საკუთარი თავი აღნიშნული გასაუბრებისა და ინფორმაციის მიწოდების პროცესში.

26. სხვა საკითხია, რომ კონსტიტუციური სარჩელის ავტორის მიერ დაყენებული შესაფასებელი მოცემულობის გათვალისწინებით, პირი ოპერატიული გამოკითხვის პირობებში, შესაძლოა, შეცდომაში იყოს შეყვანილი საგამოძიებო ორგანოს წარმომადგენელთან გასაუბრების მიზეზებსა და ამავე გასაუბრების სამომავლო შედეგებში, რამაც შესაძლოა, საბოლოოდ, დანაშაულის ჩადენაში საკუთარი თავის მხილებასაც კი შეუწყოს ხელი. ამასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ პირის მიერ საგამოძიებო ორგანოს წინაშე ნებაყოფლობით გაკეთებული განცხადებისა და მიწოდებული ინფორმაციის მოტივები, ისევე როგორც მოლოდინები ამ ინფორმაციის სამომავლო გამოყენებასთან დაკავშირებით, კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის მიზნებისთვის ირელევანტურია და არ გააჩნია საგნობრივი შემხებლობა ამავე კონსტიტუციური დებულებით დაცულ სფეროსთან. ის, რომ ინდივიდი შეცდომაშია შეყვანილი, არ იწვევს ადამიანის თავისუფალი ნების გაუქმებას, მის პარალიზებას, რაც წარმოაჩენდა თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებაში ჩარევის პოტენციალს. ნების თავისუფლების შეზღუდვა, ფართო გაგებით, ისევე როგორც თავისი ხასიათითა და ინტენსივობით მრავალგვარია; ის შეიძლება პრაქტიკაში სხვადასხვა ფორმითა და შინაარსითაც ვლინდებოდეს, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ თითოეულ მათგანს საფუძველშივე ექნება თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლების შინაარსობრივ სფეროსთან შემხებლობა. ნების თავისუფლებას, იძულების ელემენტის გათვალისწინებით, მხოლოდ ნების ფორმირების თავისუფლებაზე უარყოფითად მოქმედი იძულებითი (ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური, ნების გამტეხავი წნეხი) გარემოების შექმნის აკრძალვის კუხით ენიჭება მნიშვნელობა კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტის ფარგლებში, ამავე კონსტიტუციური დებულების არსისა და მიზანმიმართულების გათვალისწინებით. თვითინკრიმინაციისგან დაცვის პრივილეგია და ამავე უფლების შინაარსობრივი დიაპაზონი გულისხმობს თავისუფლების გარანტიას იძულებისგან – არ მისცეს პირმა ჩვენება და არ ითანამშრომლოს გამოძიებასთან. შეცდომისგან თავისუფლება (როდესაც პირი ცდება, რომ მის მიერ ნებაყოფლობით, იძულებისგან თავისუფალ გარემოებებში მიწოდებული ინფორმაცია, შესაძლოა მის წინააღმდეგ იყოს გამოყენებული) არ ხვდება ამ უფლების მოქმედების სფეროში. ამრიგად, თვითინკრიმინაციისგან დაცვის უფლებით დაცული სფეროს კონსტიტუციური გაგება არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი წესის მოქმედების პირობებში, დადასტურდეს ამავე უფლებაში ჩარევა, ყველა იმ არგუმენტის გათვალისწინებით, რაზედაც სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების ფარგლებში უკვე გაამახვილა ყურადღება.

27. ის, თუ რამდენად ეწინააღმდეგება კონსტიტუციური სარჩელით, სადავოდ გამხდარი მოწესრიგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით, კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, ინფორმაციის/ჩვენების მოპოვების წესს, რაზედაც კონსტიტუციური სარჩელის ავტორმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება, საქმის არსებითი განხილვის დროს სადავო წესის არაკონსტიტუციურობის წარმოსაჩენად (მხედველობაშია „ოპერატიული სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, გამოსაკითხ პირს არ აფრთხილებენ ცრუ ჩვენების მიცემისათვის ან ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ, ისევე, როგორც არ განუმარტავენ, რომ მას აქვს დუმილის უფლება და ყველაფერი რასაც იტყვის შესაძლოა, მის წინააღმდეგ იყოს გამოყენებული), სასამართლოს შესაფასებელი არ არის. სასამართლო ვალდებულია, შეაფასოს საქმეზე სადავოდ გამხდარი ნორმის/ნორმის ნორმატიული შინაარსის კონსტიტუციის კონკრეტულ ნორმებთან თავსებადობა. ამ თვალსაზრისით, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარ მოწესრიგებას არ გააჩნია თვითინკრიმინაციისგან დაცვის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვის რესურსი.

28. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საკონსტიტუციო სასამართლოს დადგენილად მიაჩნია, რომ გასაჩივრებული რეგულაციით დადგენილი წესი არ წარმოადგენს თვითინკრიმინაციისგან დაცვის კონსტიტუციურ უფლებაში ჩარევას და სადავო ნორმა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-11 პუნქტს.

III
სარეზოლუციო ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-60 მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნტის, 21-ე მუხლის მე-2, მე-5, მე-8 და მე-11 პუნქტების, 25-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და და მე-6 პუნქტების, 27-ე მუხლის მე-5 პუნქტის, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 43-ე, 45-ე და 47-ე მუხლების საფუძველზე,

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო
ა დ გ ე ნ ს:

1. არ დაკმაყოფილდეს №1542 კონსტიტუციური სარჩელი („საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“).

2. გადაწყვეტილება ძალაშია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე გამოქვეყნების მომენტიდან.

3. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

4. გადაწყვეტილებას დაერთოს მოსამართლე თეიმურაზ ტუღუშის განსხვავებული აზრი.

5. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს, საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას და საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

6. გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ვებგვერდზე და გაეგზავნოს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს“.

კოლეგიის შემადგენლობა:

მანანა კობახიძე

გიორგი მოდებაძე

თეიმურაზ ტუღუში